საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი**

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MES 2 20 0000955466

07/10/2020

## უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა განცხადება ტატიანა მურავსკას მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ლატვიის უნივერსიტეტის მიერ ტატიანა მურავსკას სახელზე გაიცა საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის თანახმად მას მიენიჭა დოქტორის წოდება ეკონომიკურ მეცნიერებაში (ეკონომიკის დოქტორი).

ტატიანა მურავსკასთვის ლატვიის რესპუბლიკაში მინიჭებული კვალიფიკაცია შეესაბამება "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ VIII დონის კვალიფიკაციას (დოქტორანტურა).

საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის საპირისპირო გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება ბათილია გამოცემის მომენტიდან.

გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დანართი: 5 ფურცელი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი
საგანმანათლებლო სერვისების განვითარების
სამსახური
სამსახურის უფროსი
აბრამიშვილი სალომე